საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა მინისტრი

ბრძანება № 648

ქ. თბილისი

„15" 02 2018 წ.

უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის N34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ა", „კ" და „რ" ქვეპუნქტებისა და იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის 2018 წლის 13 თებერვლის N 04-1193 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართობის ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯის განსაზღვრისა და ხელშეკრულების *გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის* ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N 2849 ბრძანების შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართობის ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების თაობაზე, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე, აგრეთვე საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, დევნილთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, წყალკანალიზაციისა და სხვა კომუნალური ხარჯების ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციაზე უფლებამოსილ ხელისმომწერ პირებად განისაზღვრონ:

ა) რობერტ მამისაშვილი - დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

ბ) ზურაბ გერგედავა - აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილე;

გ) ზაალ აფრიდონიძე - იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი პეციალისტი;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 28 მარტის N 440 ბრძანება.

3. ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველომ უზრუნველყოს ამ ბრძანების ასლის მიწოდება სამინისტროს საფინანსო, დევნილთა საკითხების, იურიდიული დეპარტამენტებისა და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისათვის.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი **სოზარ სუბარი**